<u>პროექტი</u>

საქართველოს კანონი

„საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის თაობაზე“

მუხლი 1. „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, N12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 165 [10] მუხლის შემდეგ დაემატოს შემდეგი შინაარსის 165[11] მუხლი:

„165[11]-ე მუხლი. საპენსიო სააგენტოში დამსაქმებლის მიერ დასაქმებულის და საკუთარი საპენსიო შენატანის გადახდის ვალდებულების დარღვევა

დამსაქმებლის მიერ საპენსიო სააგენტოში დასაქმებულის და საკუთარი საპენსიო შენატანის გადახდის ვალდებულების დარღვევა “დაგროვებითი პენსიის შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად,
იწვევს დაჯარიმებას 500 ლარის ოდენობით
იგივე ქმედება ჩადენილი განმეორებით, -
იწვევს დაჯარიმებას 1000 ლარის ოდენობით.“.

2. 219-ე მუხლის მეორე პუნქტის “ა” ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ადმინისტრაციული სამართალდარღვევებისთვის, რომლებიც გათვალისწინებულია ამ კოდექსის 127[1] მუხლის მე-2 ნაწილითა და 157-ე, 165-ე, 165[10], 165[11] და 195-ე მუხლებით - საგადასახადო ორგანოების უფროსებსა და მათ მოადგილეებს, ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი სამსახურის უფლებამოსილ თანამდებობის პირებს;“;

3. 239-ე მუხლის 57-ე პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ამ კოდექსის 99-ე, 165[10] და 165[11] მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათ შესახებ ოქმს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შემოსავლების სამსახურის საამისოდ უფლებამოსილი თანამდებობის პირები“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი *გიორგი მარგველაშვილი*